პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან მდებარე სამი უსახელო ჩიხისთვის, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, II ქუჩისთვის და გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის, I, II, III, IV და V ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის I და III ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

4. სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს და მასთან არსებულ II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის IV ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

5. სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის V ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

6. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

7. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X=491023 Y=4613973
X=490960 Y=4613974
X=491064 Y=4613971
X=490846 Y=4613921
III Sobo
IV Sobo
X=490805 Y=4613900
I Sobo
V Sobo
X=490969 Y=4613885
X=490841 Y=4613882
II Sobo
X=491022 Y=4613876
X=491048 Y=4613850
X=491031 Y=4613785

X=490144 Y=4614213
X=490419 Y=4614031

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

05 / მარტი / 2025 წ.

KA011713585259425

№ **48392**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

გაცნობებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") წარედგინა ლუკა ნოზაძის (პ/ნ 01027072974) განცხადება № CA00412501215526, რომლის თანახმად სამგორის რაიონში გარკვეულ ტერიტორიულ არეალთან მიმართებაში მოთხოვნილია რეგისტრაციის მისამართების გადამოწმება და შესაბამის ჩანაწერებში ქუჩის მოქმედი სახელწოდებების ასახვა, ტერიტორიის სამისამართო აბრებით დაფარვა და ა.შ (მოთხოვნის სრული შინაარსი, გთხოვთ, იხილოთ თანდართული განცხადების ასლში, იხ. დანართი №1).

მოგახსენებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N160 „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ჩიხისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ" განკარგულების საფუძველზე:

ელენე მეტრეველის ქუჩა
ელენე მეტრეველის I შესახვევი
ელენე მეტრეველის II შესახვევი
ელენე მეტრეველის III შესახვევი

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივნისის N273 „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნატო გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ" განკარგულების საფუძველზე:

ნატო გიორგაძის ქუჩა
ნატო გიორგაძის I ჩიხი
ნატო გიორგაძის II ჩიხი
ნატო გიორგაძის III ჩიხი

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N272 „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის მონაკვეთისთვის და IV ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნინო თოიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ" განკარგულების საფუძველზე:

ნინო თოიძის ქუჩა

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N275 „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებისთვის და ერთი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას სახელის მინიჭების შესახებ" განკარგულების საფუძველზე:

აზა ადამიას ქუჩა
აზა ადამიას I ჩიხი

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N159 „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლებაში, VII ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ხუთი ჩიხისთვის და ხუთი შესახვევისთვის ლუკა რაზიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე:

ლუკა რაზიკაშვილის ქუჩა
ლუკა რაზიკაშვილის I შესახვევი
ლუკა რაზიკაშვილის II შესახვევი
ლუკა რაზიკაშვილის III შესახვევი
ლუკა რაზიკაშვილის IV შესახვევი
ლუკა რაზიკაშვილის V შესახვევი
ლუკა რაზიკაშვილის I ჩიხი
ლუკა რაზიკაშვილის II ჩიხი
ლუკა რაზიკაშვილის III ჩიხი
ლუკა რაზიკაშვილის IV ჩიხი
ლუკა რაზიკაშვილის V ჩიხი

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 ოქტომბრის N112 განკარგულებასა („ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების VII ქუჩისთვის და მასთან მდებარე ჩიხისთვის ლევან რაზიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“) და და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N248 განკარგულების („ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების VII ქუჩისთვის და მასთან მდებარე ჩიხისთვის ლევან რაზიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 3 ოქტომბრის N112 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“) საფუძველზე:

ლევან რაზიკაშვილის ქუჩა
ლევან რაზიკაშვილის I ჩიხი

ზ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 აპრილის N83 „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის ალადასტურის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე:

ალადასტურის ქუჩა

სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული ინფორმაციის გადამოწმებით, ასევე, დადგინდა, რომ მითითებული სახელდებული ქუჩების მიმდებარედ განთავსებული უძრავი ნივთების სისტემური წესით დამისამართება (არსებული ნუმერაციის ხარისხის კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში კორექტირება და მისამართების დაზუსტება) სააგენტოს მიერ განხორციელდა სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტებისთვის - 2016, 2020 და 2022 წლებში.

მოგახსენებთ, მიმდინარე ეტაპზე სააგენტომ დაიწყო მითითებულ ქუჩებთან მიმართებაში არსებული მისამართების განმეორებითი ხარისხის კონტროლი. სამუშაოების შედეგები, კერძოდ, სისტემური წესით ნუმერაციის გადაწყვეტილებები მოგეწოდებათ ეტაპობრივად.

მიმდინარე ეტაპზე გიგზავნით სააგენტოს მიერ 2025 წლის 28 თებერვალს მიღებულ M25002500/3 გადაწყვეტილებას ალადასტურის ქუჩის მიმდებარედ განთავსებული უძრავი ნივთების სისტემური წესით ნუმერაციის თაობაზე (იხ. დანართი №2).

დამატებით მოგახსენებთ, რომ სამისამართო რეესტრში დღეის მდგომარეობით, ასევე, აღრიცხულია გეოგრაფიული ობიექტები შემდეგი მოქმედი სახელწოდებებით:

ნავთლუღის II დასახლების II ქუჩა
ნავთლუღის II დასახლების III ქუჩა
ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩა
ნავთლუღის II დასახლების VII შესახვევი

შენიშვნა: №CA00412501215526 წერილში მითითებულ ქუჩაზე სახელწოდებით - „ნავთლუღის II დასახლების I ქუჩა“, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სამისამართო რეესტრში ინფორმაცია როგორც ქუჩის მოქმედი ან ყოფილი სახელწოდების თაობაზე - დაცული არ არის. სააგენტოში დაცული არ არის, ინფორმაცია ნავთლუღის II დასახლების II ქუჩისა და ნავთლუღის II დასახლების VII შესახვევის სახელწოდების ცვლილების თაობაზე. ამასთან, გაცნობებთ, რომ ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის გარკვეულ ნაწილებს გადაერქვა სახელი და ერთ-ერთი მონაკვეთი მიმდინარე მომენტისთვის კვლავ იმავე სახელწოდების მატარებელია (საილუსტრაციოდ იხილეთ დანართი №3).

დანართი: 10 (ათი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

28 თებერვალი 2025

გადაწყვეტილება # M25002500/3 (28/02/2025 17:04:20)

რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება **#M25002500** 28/02/2025 13:29:11 (განმცხადებელი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო//), რომლითაც მოთხოვნილია სისტემური ნუმერაცია.

მისამართი: ქალაქი თბილისი, ალადასტურის ქუჩა
საკადასტრო კოდი: 01.19

თანდართული დოკუმენტაცია:

'საჯარო რეესტრის შესახებ' საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნუმერაციის განხორციელების თაობაზე.

ქალაქ თბილისში, ალადასტურის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიულ ობიექტებს მიენიჭოს ნუმერაცია M25002500/3 გადაწყვეტილების N1 დანართის შესაბამისად.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დანართი №1

დასახლებული პუნქტი: ქალაქი თბილისი

გადაწყვეტილების ნომერი: M25002500

დანართის მომზადების თარიღი: 28.02.2025

N	საკადასტრო კოდი	ახალი მისამართი	უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემი	X	Y
1	01.19.23.001.008	ალადასტურის ქუჩა, N:1	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ.N1	492551	4614030
2	—	ალადასტურის ქუჩა, N:1ა	—	492552	4614024
3	01.19.23.001.005	ალადასტურის ქუჩა, N:2	ქ. თბილისი, ქუჩა ენუქიძის, მიმდებარედ (ნაკვ.01/005)	492534	4614020
4	—	ალადასტურის ქუჩა, N:3	—	492552	4614071
5	—	ალადასტურის ქუჩა, N:4	—	492534	4614046
6	01.19.23.001.011	ალადასტურის ქუჩა, N:5	ქ. თბილისი, მებაღეობის ქუჩა N5	492556	4614081
7	01.19.23.001.047	ალადასტურის ქუჩა, N:6	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ.N11	492519	4614061
8	—	ალადასტურის ქუჩა, N:7	—	492542	4614113
9	01.19.23.001.041	ალადასტურის ქუჩა, N:8	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა, N4	492528	4614083
10	01.19.23.002.058	ალადასტურის ქუჩა, N:9	ქ. თბილისი, მებაღეობის ქუჩა N9	492559	4614134
11	01.19.23.001.339	ალადასტურის ქუჩა, N:10	ქ. თბილისი, II ნავთლუღის დასახლება, მებაღეობის ქუჩა N9	492495	4614104
12	01.19.23.002.038	ალადასტურის ქუჩა, N:11	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ. N20	492573	4614160
13	01.19.23.001.051	ალადასტურის ქუჩა, N:12	ქ. თბილისი, მებაღეობის ქუჩა N12ა	492513	4614116
14	01.19.23.002.060	ალადასტურის ქუჩა, N:13	ქ. თბილისი, ქუჩა მებაღეობა, N7	492578	4614186
15	01.19.23.001.001	ალადასტურის ქუჩა, N:14	ქ. თბილისი, ჩიხი ჭიჭინაძის, N10	492520	4614154
16	01.19.23.002.045	ალადასტურის ქუჩა, N:15	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ. N11ა	492580	4614212
17	—	ალადასტურის ქუჩა, N:16	—	492520	4614166
18	01.19.23.002.044	ალადასტურის ქუჩა, N:17	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა N17ა	492597	4614201
19	—	ალადასტურის ქუჩა, N:18	—	492529	4614174
20	01.19.23.002.136	ალადასტურის ქუჩა, N:19	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ. N13	492590	4614225
21	—	ალადასტურის ქუჩა, N:20	—	492530	4614186
22	01.19.23.002.135	ალადასტურის ქუჩა, N:21	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ. N13	492615	4614220
23	01.19.23.002.100	ალადასტურის ქუჩა, N:23	ქ. თბილისი, ქუჩა მებაღეობა, N15	492620	4614234
24	—	ალადასტურის ქუჩა, N:25	—	492608	4614279
25	—	ალადასტურის ქუჩა, N:26	—	492561	4614243
26	01.19.23.002.022	ალადასტურის ქუჩა, N:27	ქ. თბილისი, აფრიკის დასახლება, მებაღეობის ქ. N17	492633	4614289
27	—	ალადასტურის ქუჩა, N:27ა	—	492639	4614298
28	01.19.23.001.052	ალადასტურის ქუჩა, N:28	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა N20	492562	4614253
29	01.19.23.002.036	ალადასტურის ქუჩა, N:29	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ. N21	492637	4614325
30	01.19.23.001.053	ალადასტურის ქუჩა, N:30	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა N20	492548	4614263

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დანართი №1

დასახლებული პუნქტი: ქალაქი თბილისი

გადაწყვეტილების ნომერი: M25002500

დანართის მომზადების თარიღი: 28.02.2025

N	საკადასტრო კოდი	ახალი მისამართი	უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემი	X	Y
31	—	ალადასტურის ქუჩა, N:31	—	492645	4614346
32	01.19.23.001.054	ალადასტურის ქუჩა, N:32	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა N20	492553	4614277
33	01.19.23.001.026	ალადასტურის ქუჩა, N:34	ქ. თბილისი, აფრიკის დასახლება მებაღეობის ქ. N12	492573	4614281
34	01.19.23.002.161	ალადასტურის ქუჩა, N:35	ქ. თბილისი, ქუჩა მებაღეობა, N29 მიმდებარედ	492619	4614444
35	01.19.23.001.024	ალადასტურის ქუჩა, N:36	ქ. თბილისი, აფრიკის დასახლება მებაღეობის ქ. N12	492577	4614291
36	01.19.23.002.026	ალადასტურის ქუჩა, N:37	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ. N29	492625	4614470
37	01.19.23.001.003	ალადასტურის ქუჩა, N:38	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა N24	492591	4614313
38	01.19.23.002.010	ალადასტურის ქუჩა, N:39	ქ. თბილისი, აფრიკის დას. მებაღეობის ქ.N31	492637	4614501
39	01.19.23.001.017	ალადასტურის ქუჩა, N:40	ქ. თბილისი, აფრიკა, მებაღეობის ქ. N15	492613	4614350
40	—	ალადასტურის ქუჩა, N:41	—	492642	4614535
41	—	ალადასტურის ქუჩა, N:43	—	492644	4614549
42	—	ალადასტურის ქუჩა, N:44	—	492592	4614387
43	01.19.23.001.062	ალადასტურის ქუჩა, N:48	ქ. თბილისი, მებაღეობის ქუჩა N26	492583	4614429
44	—	ალადასტურის ქუჩა, N:50	—	492598	4614453
45	01.19.23.001.063	ალადასტურის ქუჩა, N:54	ქ. თბილისი, ქუჩა ალადასტურის, N34	492584	4614485
46	01.19.23.001.022	ალადასტურის ქუჩა, N:56	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა, N42	492599	4614513
47	01.19.23.001.033	ალადასტურის ქუჩა, N:58	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა, N44	492598	4614528
48	01.19.23.001.016	ალადასტურის ქუჩა, N:60	ქ. თბილისი, მებაღეობის ქ. N40	492620	4614553
49	—	ალადასტურის ქუჩა, N:62	—	492582	4614550
50	01.19.23.001.004	ალადასტურის ქუჩა, N:64	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა N50	492575	4614558
51	01.19.23.001.027	ალადასტურის ქუჩა, N:66	ქ. თბილისი, ალადასტურის ქუჩა, N52	492590	4614573
52	—	ალადასტურის ქუჩა, N:68	—	492604	4614570

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

ქალაქი თბილისი, ალადასტურის ქუჩა

სისტემური ნუმერაცია

N

გადაწყვეტილების ნომერი	M25002500/3
მომზადების თარიღი	28.02.2025

● არსებული ნომერი	● ახალი ნომერი
▭ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	▬ ქუჩა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

ქალაქი თბილისი, ალადასტურის ქუჩა

სისტემური ნუმერაცია

N

გადაწყვეტილების ნომერი	M25002500/3
მომზადების თარიღი	28.02.2025

არსებული ნომერი	ახალი ნომერი
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ქუჩა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

ქალაქი თბილისი, ალადასტურის ქუჩა

სისტემური ნუმერაცია

N

გადაწყვეტილების ნომერი	M25002500/3
მომზადების თარიღი	28.02.2025



არსებული ნომერი	ახალი ნომერი
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ქუჩა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

ქალაქი თბილისი, ალადასტურის ქუჩა

სისტემური ნუმერაცია

N

გადაწყვეტილების ნომერი	M25002500/3
მომზადების თარიღი	28.02.2025

არსებული ნომერი	ახალი ნომერი
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ქუჩა

my.gov.ge

"ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „ციფრული მმართველობის სააგენტო“

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო უწყებებთან მიმოწერის სერვისის მეშვეობით

№ CA00412501215526 **28.01.2025**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სათაური: არასწორი დამისამართება

შინაარსი: გაცნობებთ, რომ თბილისში, სამგორის რაიონში არსებულ ზოგერთი ქუჩა, რომელთაც სახელწოდებები წინა წლებში შეეცვალათ, ოფიციალურ დოკუმენტებში ისევ ძველი სახელწოდებით არის წარმოდგენილი, კერძოდ: II ნავთლუღის დასახლების 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 ქუჩებს გადაერქვა სახელწოდებები და ახლა არის ელენე მეტრეველის, ნატო გიორგაძის, ნინო თოიძის, აზა ადამიას, ლუკა რაზიკაშვილისა და ლევან რაზიკაშვილის ქუჩები, აგრეთვე ამ დასახლების ცოტა მოშორებით – ალადასტურის ქუჩა (ადრინდელი მებაღეობის ქუჩა). სხვაობა შეგიძლიათ შეამოწმოთ Google Maps-სა და maps.gov.ge-ზე. (Google Maps-ზე ისევ II ნავთლუღის დასახლება ქუჩით არის წარმოდგენილი). ეს ძველი სახელწოდებები ასახულია მოქალაქეთა რეგისტრაციის მისამართში, რაც ყველაზე დიდ პრობლემას, გარდა მოსახლეობისა, ცესკოს თანამშრომლებს გვიქმნის:
მოგეხსენებათ წინასაარჩევნოდ ცესკოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ რიგდება ამომრჩევლის ბარათები კარდაკარ მოსახლეობაში (ფურცლები, სადაც აღნიშნულია მოქალაქის საცხოვრებელი რეგისტრაციის მისამართი, და რომელ უბანზე უნდა მივიდეს ხმის მისაცემად). თუმცა ჩვენ ვხელმძღვანელობით არსებული მონაცემების მიხედვით, ამომრჩევლის ბარათებზე წერია ძველი, მაგალითად II ნავთლუღის დასახლება VII ქუჩა, 30, რომლის რეალობაში მოძებნა შეუძლებელია – ძველი სახელწოდების N30 არ არის იდენტური ახალი სახელწოდების იგივე ნომრისა (II ნავთლუღის დასახლება VII ქუჩა N30 არ არის ლუკა რაზიკაშვილის 30 ნომერი და არც ახლომახლო მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს ბარათზე მითითებული პიროვნება).
2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე იყო ზუსტად ეს სიტუაცია: ამომრჩევლის ბარათებზე ეწერა II ნავთლუღის დასახლება VII ქ, N--, რასაც ვერც Google Maps-ის აპლიკაციით, სადაც მიუხედავად ძველი სახელწოდებაა ჯერ კიდევ შემორჩენილი, ასევე ვერც maps.gov.ge-ის სამისამართო რუკები ვერ ახერხებდა მოცემული მისამართის პოვნას. კომისიის წევრებს მთელი დღე უწევდათ სიარული ქუჩაზე, სადაც მიუხედავად ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებისა, არავინ იცნობდა აღნიშნულ პიროვნებებს. საბოლოოდ უბანში დიდი ძალისხმევითა და მოსახლეობასთან ძალიან დიდი რესურსის დახარჯვით მოხდა მიგნება დარჩენილი მოქალაქეების და დარიგდა ყველა ბარათი. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ამომრჩევლის ზოგიერთ ბარათზე მითითებული იყო ახალი სახელწოდება - ლუკა რაზიკაშვილის ქუჩა, რაც თავისუფლად დარიგდა და პრობლემა არ შექმნილა ამ შემთხვევაში. გარემოებას ართულებდა ისიც, რომ დასახლება წარმდგენილია ინდივიდუაური ერთბინიანი სახლებით (ერთ და ორ სართულიანი კერძო სახლებით), ვიწრო ქუჩებითა და შენობების ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგომით – ხშირ შემთხვევაში შენობები პირდაპირ ერთმანეთს ებმის, ხოლო სამისამართო აბრები (ლურჯი ფერის), სადაც წარმოდგენილია ქუჩის დასახელება და შენობის ნომერი, ძალიან ბევრგან არ არის - ვიწრო ქუჩების ღობეები დაჟანგებული ცხაურებისგან შემდგარი ამორტიზებული კონსტრუქციებია, და ბევრგან არ არის განთავსებული აბრები.
აღნიშნული პრობლემა ექმნება 06.48, 06.49, და 06.55 საარჩევნო უბნებს, რომელთაც ეკუთვ-

ნის აქ აღწერილი ქუჩები (ინფორმაცია უბნის საზღვრების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:
https://cesko.ge/ge/search-results/singleview/11033156-2024-tslis-oktombershi-gasamarti-sakartvelos-parlamentis-archevnebisatvis-saarchevno-olkebshi-shekmnili-saarchevno-ubnebis-sazghvrebi
(სადაც აირჩიეთ 06 სამგორი და ზემოთაღწერილი უბნები.
აქვე წარმოგიდგენთ კიდევ ერთ ქუჩას - ,,ჭიჭინაძის ქ. 360 კმ'' ან ,,აფრიკის დასახლება 360 კმ'' (N06.52, N06.55 და N06.65 საარჩევნო უბნებში შემავალი), რომელთან დაკავშირებით გთხოვთ უფრო დაავიწროოთ აღნიშნული სახელწოდება და მიანიჭეთ რიგითი ნომერი ნაცვლად კილომეტრაჟისა – აქაც შეუძლებელია მიგნება ამ მისამართზე მცხოვრები ხალხისა, რამდენადაც არც ერთ ონლაინ რუკაზე თუ რეალობაში ვერსად ვერ ნახავთ სად მდებარეობს ეს არეალი ან საიდან შეიძლება აითვლებოდეს 360 კილომეტრი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უმორჩილესად გთხოვთ:
1) გადახედოთ მოწოდებულ ქუჩებზე რეგისტრირებულ მაცხოვრებლებს და რეგისტრაციის მისამართი შეუცვალოთ ახალი, დღეის მდგომარეობით არსებული ქუჩის სახელწოდებებით;
2) შესწორებული და რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანილი მოქალაქეების რეგისტრაციის ინფორმაცია მიაწოდეთ ცესკოს არაუგვიანეს ზაფხულამდე რამდენადაც სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ინფორმაციის დამუშავება.
3) გამოასწორეთ მდგომარეობა ქუჩებზე განსათავსებელ აბრებთან დაკავშირებით და სადაც აკლია დაამატეთ, ხოლო ძველი რეგისტრაციის მისამართი მქონე პიროვნებების ახლის მინიჭებისას მისამართს გაუკეთეთ ახალი აბრა, რეალური მდგომარეობის შესაბამისად.
4) სახლის ნომრის ყოველი ცვლილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასახეთ maps.gov.ge-ზე;
5) მონაცემები დაამუშავეთ სრულყოფილი მდგომარეობის წარმოსადგენად, სადაც ცესკოს პიროვნების რეგისტრაციის მისამართი დაემთხვევა საჯარო რეესტრში გატარებულ პიროვნების რეგისტრაციის მისამართს და ამომრჩევლის ბარათებში ჩაიწერება ახალი სახელწოდების მისამართი (https://voters.cec.gov.ge/ - სწორედ ამ საიტზეა შესაძლებელი ადამიანმა გადაამოწმოს სად არის რეგისტრირებული და სად აძლევს ხმას, ამჟამად დროებით ტექნიკური სამუშაოების გამო ეს სერვისი მიუწვდომელია).
6) ბ. ჭიჭინაძის ქ 360 კმ-ზე მცხოვრებ ადამიანებს მიანიჭეთ კონკრეტული ნომერი და რუკაზეც დაიტანეთ.
გთხოვთ მაცნობეთ თქვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით,
პატივისცემით, 06.55 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

პატივისცემით,

ლუკა ნოზაძე
პ. #: 01027072974

მობილური: +995599397040
ელფოსტა: nozadze.l@gtu.ge

Luka
Nozadze
01027072974

Digitally signed by
Luka Nozadze
Date: 2025.01.28
20:18:59

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032507311**
თარიღი: **14/03/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 05 მარტის საქმე #06-032506415-03 დაკავშირებით, რომელიც მოქალაქე ლუკა ნოზაძის მიმართვის საფუძველზე სამგორის რაიონში, ნავთლუღის დასახლებაში, გზათა ქსელის მოწესრიგებას ეხება. გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ შესაბამისი სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 14 (თოთხმეტი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-012507711**
თარიღი: **18/03/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 14.03.2025 წლის #03-032507311 (14.03.2025წ. #14-01250732651-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართები)

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი